პროექტი: კროსვორდების კრებული

ავტორი: ნინო მარღიშვილი

საფეხური: დაწყებითი

კლასი: IV, V

პროექტის მიზანი: მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე შექმნიან კროსვორდების კრებულს და მოამზადებენ გამოსაცემად.

სტანდარტთან შესაბამისობა:

მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ციფრული პროდუქტის შექმნისას.

წინარე ცოდნა:

მოსწავლეებმა იციან ტექსტურ და გრაფიკულ რედაქტორში მუშაობა, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციის გადმოწერა.

პროექტის ხანგრძლივობა: 3 კვირა.

პროექტის მსვლელობა:

პირველი კვირა

მოსწავლეები გადაანაწილეთ ჯგუფებში (ჯგუფში 4 მოსწავლე) და გააცანით მუშაობის წესები. ჯგუფებს მიეცით დავალება, რომ თითოეულმა ჯგუფმა მოიფიქროს 4 კროსვორდი სხვადასხვა თემაზე. სასურველია თითოეული კროსვორდის ყველა კითხვა უკავშირდებოდეს ერთ თემას. თითოეული კროსვორდი უნდა შეიცავდეს საშუალოდ 10 კითხვას.

აქტივობა 1

ჯგუფებს გაკვეთილზე მოაქვთ მოფიქრებული კითხვები და ქმნიან ფურცლებზე კროსვორდების ესკიზებს. მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფის ერთი წევრი კლასს აცნობს მათ მიერ მოფიქრებულ კითხვებს.

ერთნაირი კითხვების არსებო- ბის შემთხვევაში ჯგუფები ინიშნავენ კითხვებს შესაცვლელად.

დააკვირდით ჯგუფების მუშაობას, დაუსვით დამაზუსტებელი კითხვები. მიეცით ჯგუფებს თვითშეფასების საშუალება (იხ. რუბრიკა პროექტის ბოლოს).

აქტივობა 2

ჯგუფის ყოველი წევრი, ესკიზის მიხედვით, პროგრამა **Word**-ში აგებს კროსვორდს. იმუშავეთ ყველა ჯგუფთან, დაეხმარეთ სამუშაოს განხორციელებაში. მიეცით განმავითარებელი კომენტარები. ჯგუფები დამოუკიდებლად აგრძელებენ კროსვორდების შექმნას.

მეორე კვირა

აქტივობა 3

გაკვეთილზე ჯგუფები იწყებენ შექმნილი კროსვორდების ვიზუალურად გაფორმებას. გრაფიკულ რედაქტორში ქმნიან ვიზუალურ მასალას კროსვორდების გასაფორმებლად. კრებულის თითო გვერდზე მოთავსებული იქნება ერთი კროსვორდი, რომელიც გაფორმებული იქნება მოსწავლეების მიერ შექმნილი სურათებით.

აქტივობა 4

ჯგუფები დამოუკიდებლად გრაფიკულ რედაქტორში იწყებენ კრებულის ყდის დიზაინის შემუშავებას.

გაკვეთილზე ჯგუფები აკეთებენ შექმნილი ყდების პრეზენტაციას. პრეზენტაციის დროს ჯგუფები ყდების ურთიერთშეფასებას ახდენენ. შედეგად ირჩევენ ერთ ყდას, რომლითაც გააფორმებენ კრებულს. ყდების ურთიერთშეფასებისთვის მოსწავლეებს სთხოვეთ თავად მოიფიქრონ შეფასების კრიტერიუმები.

მოაგროვეთ ჯგუფების მიერ შექმნილი კროსვორდები, გააერთიანეთ ისინი ერთ ფაილში მოსწავლეებთან ერთად, თან დაურთეთ ყდა. გადახედეთ საბოლოო ფაილს და მოამზადეთ დასაბეჭდად.

მესამე კვირა

აქტივობა 5

მოსწავლეებთან ერთად დაბეჭდეთ შექმნილი კრებულის რამდენიმე ეგზემპლიარი და აკინძეთ.კლასი აუდიტორიის წინაშე აკეთებს კროსვორდების კრებულის პრეზენტაციას. უზიარებენ შესავსებად კროსვორდებს სხვა კლასის მოსწავლეებს.

შეფასების საგანი და პროცედურები:

შეფასების ტიპი – განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი (მე-5 კლასი).

განმსაზღვრელი შეფასებისთვის (მე-5 კლასი) შეგიძლიათ გამოიყენოთ კრიტერიუმები:

- კროსვორდის კითხვების შინაარსი;
- კროსვორდების სტრუქტურა;
- ვიზუალური მხარე.

თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში აქტივობა 1-ის დროს, ჯგუფის წევრებმა თავად აღნიშნონ, რამდენად კარგად აქვთ შესრულებული დავალება:

დავალება	მჭირდება მუშაობა	ნაწილობრივ შევასრულე	ძალიან კარგად შევასრულე
კროსვორდების საკითხების მოფიქრება	მხოლოდ ერთ საგანში მოვიფიქრეთ კროსვორდის კითხვები	მხოლოდ სამ საგანში მოვიფიქრეთ კროსვორდის კითხვები	მოვიფიქრეთ კროსვორდის კითხვები 4 საგნისთვის